გორის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს

განკარგულება № 179

2023 წლის 13 ოქტომბერი

ქ. გორი

გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „აგრო მოლი"-ს შორის 2021 წლის 13 ოქტომბერს გაფორმებული №17 პრივატიზაციის ხელშეკრულების პირობის შეცვლაზე გორის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

,,გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ" გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 08 იანვრის №2 განკარგულებისა და ,,გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ" გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 08 იანვრის №3 განკარგულების საფუძველზე, აუქციონის შედეგად, გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „აგრო მოლი"-ს შორის 2021 წლის 13 ოქტომბერს გაფორმდა პირობით გამოცხადებული აუქციონის №17 ხელშეკრულება, იმ პირობით, რომ პრივატიზებულ მიწის ნაკვეთზე (მის: გორის მუნიციპალიტეტი, კარალეთის ადმინისტრაციული ერთეული, ბლოკი 003, ნაკვეთი 002; არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, 9723 კვ.მ; ს/კ 66.46.26.003.002) მყიდველი ვალდებული იყო მოეხდინა მიწის ნაკვეთის განაშენიანება და აშენებული ობიექტის ექსპლუატაციაში მიღება განეხორციელებინა პრივატიზაციიდან 2 (ორი) წლის ვადაში.

გორის მუნიციპალიტეტის მერიაში შესულია შპს „აგრო მოლი"-ს განცხადებები, რომელშიც შპს „აგრო მოლი" აღნიშნავს, რომ ხელი შეეშალა სამუშაოების დასრულებაში და შესაბამისად - პირობის შესრულებაში, თუმცა, ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ დაწყებული აქვს მშენებლობის ნებართვის ასაღებად საჭირო პროცედურა, მშენებლობის დასაწყებად მობილიზებული აქვს სამუშაო ძალა და ფინანსური რესურსი, აღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „აგრო მოლი" აცხადებს, რომ მთლიანობაში პრივატიზებულ მიწის ნაკვეთზე განხორციელდება 100000 (ასი ათასი) ლარის ინვესტიცია და ითხოვს მითითებული პირობის ვადის გაგრძელებას კიდევ 2 (ორი) წლით, რაც, ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, გორის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „აგრო მოლი"-ს შორის 2021 წლის 13 ოქტომბერს გაფორმებული №17 პრივატიზაციის ხელშეკრულების პირობის შეცვლაზე - პრივატიზებულ მიწის ნაკვეთზე (მის: გორის მუნიციპალიტეტი, კარალეთის ადმინისტრაციული ერთეული, ბლოკი 003, ნაკვეთი 002;

არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, 9723 კვ.მ; ს/კ 66.46.26.003.002) განაშენიანების განხორციელების და აშენებული ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების ვადად პრივატიზაციიდან 2 (ორი) წლის ვადის ნაცვლად პრივატიზაციიდან 4 (ოთხი) წლის ვადის განსაზღვრის თაობაზე, იმ პირობით, რომ ,,მყიდველის" მიერ აღნიშნულ ვადაში მიწის ნაკვეთზე განხორციელდება 100000 (ასი ათასი) ლარის ინვესტიცია და ამ ვადის გასვლისთანავე წარმოდგენილი იქნება მითითებული ინვესტიციის განხორციელების დამადასტურებელი შესაბამისი აუდიტორული დასკვნა.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „აგრო მოლი“-ს შორის 2021 წლის 13 ოქტომბერს გაფორმებული №17 პრივატიზაციის ხელშეკრულების პირობის შეცვლაზე - პრივატიზებულ მიწის ნაკვეთზე (მის: გორის მუნიციპალიტეტი, კარალეთის ადმინისტრაციული ერთეული, ბლოკი 003, ნაკვეთი 002; არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, 9723 კვ.მ; ს/კ 66.46.26.003.002) განაშენიანების განხორციელების და აშენებული ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების ვადად პრივატიზაციიდან 2 (ორი) წლის ვადის ნაცვლად პრივატიზაციიდან 4 (ოთხი) წლის ვადის განსაზღვრის თაობაზე, იმ პირობით, რომ ,,მყიდველის" მიერ აღნიშნულ ვადაში მიწის ნაკვეთზე განხორციელდება 100000 (ასი ათასი) ლარის ინვესტიცია და ამ ვადის გასვლისთანავე წარმოდგენილი იქნება მითითებული ინვესტიციის განხორციელების დამადასტურებელი შესაბამისი აუდიტორული დასკვნა.
2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქალაქი გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**